# პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

**საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტის(GTC) ტექნიკური დახმარება - ფაზა 1**



**განხორციელების ვადა:** 17.01.2020 - 10.12.2025

**EaP ქვეყნები:**
Georgia

**ევროკავშირის წვლილი:** € 6 136 000

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

**სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:**
facebook.com/mrdi.gov.ge, facebook.com/georoad.ge

**პროექტის ვებსაიტები:** www.georoad.ge

**პროექტის აღწერა:**

კარგი საგზაო ქსელი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა, ვინაიდან ის ხელს უწყობს კავშირებს ადამიანებს შორის და ვაჭრობას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.
ეს ტექნიკური დახმარების პროექტი მუშაობს საქართველოს მთავრობასთან ერთად და ხელს უწყობს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას. იგი საფუძველს უყრის საქართველოში შემდგომი წლების განმავლობაში გასახორციელებელ საგზაო პროექტებს.
პროექტი:

- ამზადებს ტექნიკურ კვლევებს, მათ შორის გარემოსა და სოციალურ შეფასებებს შემდგომში დასაფინანსებელი პროექტებისთვის აუცილებელ კვლევებს.
- ეხმარება პრიორიტეტული შავი წერტილების არჩევაში, რომლებიც მდებარეობს აღმოსავლეთ-დასავლეთ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის სიახლოვეს, სადაც ყურადღება ექცევა საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციის სესხის ოპერაციის ფარგლებში EIB-ის მიერ დასაფინანსებელი პროექტების მიდამოებს, რათა სრულად იქნას გამოყენებული მსგავსი ოპერაციის სარგებელი.
- უზრუნველყოფს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესაძლებლობების ზრდას, რათა წარმატებით განხორციელდეს საქართველოს საგზაო პროგრამა
- ატარებს კვლევებს, რათა გამოვლინდეს ავარიული საგზაო მონაკვეთები.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- შავი წერტილების (მათ შორის საგზაო უსაფრთხოების ინსპექციების ჩათვლით) იდენტიფიცირება და პრიორიტეტული მიმართულების ადმინისტრირება საგზაო დეპარტამენტის მიერ მართულ გზებზე, რომლებიც მდებარეობს საქართველოში გაფართოებული TEN-T ქსელის გასწვრივ;
- დეტალური პროექტირება (საგზაო უსაფრთხოების აუდიტის გათვალისწინებით) და სატენდერო დოკუმენტაციების შემუშავება სამომავლო საგზაო უსაფრთხოების ინვესტიციებისთვის;
- გაუმჯობესებული ტექნიკური და ადმინისტრაციული უნარები საგზაო სექტორში მიმდინარე ინვესტიციების შემუშვების, შეფასების, განხორციელების, მონიტორინგისა და ზედამხედველობის მიზნით;
- მიწის შესყიდვისა და გადაადგილების სამოქმედო გეგმის სოციალური ამოცანების შესახებ გაზრდილი ცნობიერება.